

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

ადმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

11 იანვარი, 2012

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ზაზა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, იმედა დვალიძე, გოჩა სვანიძე, ცისმარი ონიანი, ბესო აბაშიძე.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;

ა). საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას თეა თავხელიძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და ამავე კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, გ პუნქტის (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი: ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება) თანახმად და წევრობის შეჩერების შესახებ მისი განცხადების საფუძველზე, თეა თავხელიძეს გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.

2. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;

ა). ნუგზარ ჩუხუას განცხადების განხილვა ასოციაციაში ხელახლა გაწვევრიანების შესახებ, გადაიდოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე, მის მიერ ნასამართლეობის ცნობის წარმოდგენამდე. ასოციაციის მიერ გაიგზავნოს წერილი ზემოთაღნიშნული ცნობის გამცემი ორგანოს მისამართით.

**ზაზა ხატიაშვილი**

**ასოციაციის თავმჯდომარე**